



ომბუდსმენის ანგარიში
გაწეულ სერვისებთან დაკავშირებით

აკაკი წერელის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი
2019

პუბლიკაციის თანადამფინანსებელია ევროკავშირის Erasmus+ პროგრამა.
წინამდებარე პუბლიკაცია ასახავს ავტორების მოსაზრებას და
ევროკავშირი არ არის პასუხისმგებელი წარმოდგენილ ინფორმაციაზე.



Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ომბუდსმენის ოფისი ერთი წელია წარმატებით ფუნქციონირებს. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ შევძელით დავხმარებოდით სტუდენტებს და გაგვეადვილებინა მათთვის საუნივერსიტეტო ცხოვრება. ომბუდსმენის გაცნობის მიზნით ახალი სასწავლო წლის დასაწყისიდან ჩვენ რამდენჯერმე შევხვდით პირველკურსელებს, ტუტორებს, სტუდენტებსა და უნივერსიტეტის თანამშრომლებს, წარმოვადგინეთ პრეზენტაცია, რომელშიც განვმარტეთ უნივერსიტეტის ომბუდსმენის ყველა ფუნქცია და შესაძლებლობები, ჩამოვთვალეთ შემთხვევები, თუ როდის შეუძლიათ მიმართონ ომბუდსმენს დახმარებისა და რჩევისათვის. 2019 წლის მაისის ბოლოსთვის 12 ადამიანმა მიმართა ომბუდსმენს წერილობითი თხოვნით. დარჩენილი საქმეები ეხებოდა მხოლოდ იურიდიულ კონსულტაციებს ან რჩევებს სხვადასხვა სფეროში.

ყველა შემთხვევის გაანალიზებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რომ ადგილობრივი ქალი სტუდენტები უფრო აქტიურები არიან. განმცხადებელთა უმრავლესობა (10 -12-დან) ქალი იყო.

რაც შეეხება პრობლემების არსს:

12 ადამიანიდან 7 შემთხვევა დაკავშირებული იყო უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურებთან (კანცელარია, დეკანის ოფისები, ფინანსური სამსახური, აკადემიურ პერსონალი და ა.შ.). მათ სჭირდებოდათ მედიატორი პრობლემების მოსაგვარებლად და შეძლეს ამ მომსახურების მიღება. ნაწილს ქონდა პირადი ხასიათის პრობლემები, ზოგიერთს ასევე სურდა რჩევები ქვეყნის კანონმდებლობის მიმართულებით. ასეთი მაგალითი იყო სტუდენტების დიდი ჯგუფის ერთობლივი მომართვა აკადემიური ომბუდსმენისადმი სავალდებულო ვაქცინაციასთან დაკავშირებით. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ყველა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტუდენტებს, მოეთხოვებოდათ ვაქცინაცია წითელას ინფექციის წინააღმდეგ, რასაც სტუდენტები ეწინააღმდეგებოდნენ. საკითხის შესწავლის შემდეგ უნივერსიტეტის ომბუდსმენმა ქვეყნის კანონმდებლობიდან გამომდინარე შესთავაზა დავის მოგვარების სამართლებრივი გზები.

სტუდენტებმა, რომლებმაც მიმართეს ომბუდსმენის ოფისს განაცხადეს, რომ მათ ამ ოფისის შესახებ შეიტყვეს საინფორმაციო შეხვედრებისა და უნივერსიტეტის ვებგვერდის საშუალებით.

ყველას, ვინც დახმარებისთვის მოგვმართა გაეწია სათანდო დახმარება. მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როდესაც სტუდენტი ითხოვდა სათვალთვალო კამერის ჩანაწერს, ვერ მოხერხდა მისი დახმარება, რადგან დაგვიანებული მომართვის გამო (მოთხოვნილი პერიოდიდან 1 თვის შემდეგ) ტექნიკურად შეუძლებელი იყო მოთხოვნილი პერიოდის ჩანაწერის ამოღება.